

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ფართო სფეროდან: 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა; 06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; 08 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია; 09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა; 10 მომსახურებები.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

1. კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება;
2. ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი ან წარმატებით დაძლიოს ინგლისური ენის B2 დონის ტესტური გამოცდა, რომელსაც აორგანიზებს და ახორციელებს სტუ. კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საფეხურის ინგლისურენოვანი აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამა, გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება (ინგლისურენოვანი პროგრამის გავლა დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით);
3. შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრული სხვა დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

სრული ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების წესის და ჩარიცხვის პირობების თაობაზე, აგრეთვე ინგლისური ენის საგამოცდო ტესტების ნიმუშ(ებ)ი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. <https://gtu.ge/apply/phd.php/>

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, საქართველოს კანონმდებლობითა და სტუ-ის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების და წესების დაცვით.

უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია:

- აგრონომიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით და აკადემიური/პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების პატივისცემით, მოამზადოს კვლევის დაგეგმვის და განხორციელების უნარის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მკვლევარები.
- კვლევის ინტერესის შესაბამისად, შესძინოს კურსდამთავრებულებს: მცენარეთა მოვლა - მოყვანის უახლესი ტექნოლოგიების; არსებული გენეტიკური რესურსების დაცვის; გეოსაინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების; პროდუქციის წარმოების ენერგოუსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების; აგრარული კულტურების ასორტიმენტის განახლების; პროდუქციის გაუმჯობესების თანამედროვე მეთოდებისა და ადაპტირების, კვების, რწყვისა და სხვა რეჟიმების შემუშავების; ბიოლოგიური პოტენციალის ამაღლების; მცენარეებში ნივთიერებათა და ენერგიის ცვლის ბიოქიმიური მექანიზმების დადგენის მიმართულებებით კვლევის და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გამოყენების უნარი, აკადემიური/პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
- ჩამოუყალიბოს კურსდამთავრებულებს აგრონომიის დარგში აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობისა და დარგობრივ საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრაციისათვის საჭირო უნარები და სფეროს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ხედვა.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. ფლობს აგრარულ მიმართულებებში ინოვაციურ ტექნოლოგიებისა და თეორიების შესახებ უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნას, რომელიც იძლევა სფეროში არსებული ცოდნის გაფართოებისა და სამიანობაში ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას;
2. აანალიზებს აგრონომიის დარგში უახლესი კვლევის შედეგებს, არსებული ცოდნის გადაფასების გზით, შერჩეული სამეცნიერო კვლევის პროექტის განხორციელებისა და პროფესიულ საქმიანობაში;
3. კვლევის ინტერესის შესაბამისად, გეგმავს და ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს მცენარეთა მოვლა - მოყვანის უახლესი ტექნოლოგიების; არსებული გენეტიკური რესურსების დაცვის; in vitro მიკროკლონური გამრავლების მეთოდები ვირუსისაგან თავისუფალი სასოფლო - სამეურნეო კულტურების მიღებას, გეოსაინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების; პროდუქციის წარმოების ენერგოუსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების; აგრარული კულტურების ასორტიმენტის განახლების; პროდუქციის გაუმჯობესების თანამედროვე მეთოდებისა და ადაპტირების, კვების, რწყვისა და სხვა რეჟიმების შემუშავების; ბიოლოგიური პოტენციალის ამაღლების; მცენარეებში ნივთიერებათა და ენერგიის ცვლის ბიოქიმიური მექანიზმების დადგენის მიმართულებებით, აკადემიური/პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
4. ახდენს ახალი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიების შემუშავება - განვითარების ხელშეწყობა ეკოსისტემის პარამეტრებთან დამოკიდებულებით; საკითხის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას; მეცნიერული პრობლემის განსაზღვრის, კვლევის ამოცანისა და გეგმის ფორმულირებას;

5. იზიარებს კვლევის ისეთ ღირებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს: საზოგადოების უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას;
6. ცოდნის გადაცემაზე ორიენტირებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისას აყალიბებს საკუთარი კვლევის შედეგებს/მოსაზრებებს და უზიარებს კოლეგებსა და ფართო საზოგადოებას შესაბამის ფორმატში, მათ შორის მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების საშუალებით.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

<https://gtu.ge/quality/Files/Pdf/sasc%20proccsis%20instruqc.pdf>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით		
№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4
2	სწავლების მეთოდები	6
3	სამეცნიერო კვლევის მეთოდები აგრონომიაში	5
4	კულტურული და ველურად მოზარდ მცენარეთა სამრეწველო პლანტაციების შექმნა განსხვავებულ ეკოსისტემებში	5
5	ციფრული ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში	5
6	კულტურულ და ველურად მოზარდი მცენარეების ფიტოქიმიური მაჩვენებლები	5
არჩევითი სასწავლო კურსები		
7	აგრარული ტექნოლოგიების ფერმენტული მექანიზმები	15
8	აგრარულ კულტურათა ბიოქიმია	
9	ეთერზეთოვანი მცენარეების ქიმია, ტექნოლოგია გამოყენება	
10	მიწათმოქმედების პროდუქტების მოყვანის აგროტექნოლოგიები	
11	კულტურული და ველურად მოზარდი ფიტოგენეტიკური რესურსები, ეთნობოტანიკური უნარ - ჩვევები და მდგრადი გამოყენება	
12	აგროკულტურების შენახვა	
13	რისკის შეფასება და ანალიზი სოფლის მეურნეობაში	
14	სურსათის ქიმიის გაღრმავებული კურსი	
15	პროფესორის ასისტენტობა	5
16	თემატური სემინარი	10
კვლევითი კომპონენტი		